PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი ,,აისი“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ.სამრეკლო)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები:

ირმა ღარიბაშვილი

(თბილისი, 2020)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი „აისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის MES 4 20 00469806 ბრძანების საფუძველზე, 2020 წლის 2 ივლისს განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „აისში“, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტი წარიმართა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის **(დანართი 1)** მიხედვით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი და ძირითადი მიგნებების შესახებ ინფორმაცია ზეპირი ფორმით მიაწოდა დაწესებულების ადმინისტრაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

VII.რეკომენდაციების შეჯამება

<u>შესაბამისობის რეკომენდაცია</u>

2.2.1 (1) C გარემოში წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნაწილი. არ არის შეძენილი ძირითადი შესადუღებელი აპარატურა. კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის 2020 წლის 08 ივნისის ბრძანება №02-01-116 „შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვების შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“, სადაც დანართის სახით წარმოდგენილია აღჭურვილობის დასახელებები , გეგმის მიხედვით აჭრურვილობა ადგილზე უნდა იყოს სასწავლო წლის დაწყებამდე შესაბამისად, მიზანშეწონილია სწავლის დაწყებამდე შეძენილ იქნეს აღჭურვილობის ჩამონათვალში კოლეჯის მიერ გაწერილი შედუღების დანადგარები.

2.2.1. (2). პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებული პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია ,,ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით". აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2.1 (3) პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ,,მეწარმეობას“ კითხულობს, კვალიფიკაციით ეკონომისტია, ასევე კითხულობს ,,მეცნიერების და ტექნოლოგიის“ გეოგრაფიის მიმართულებას. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „მეწარმეობის“ ახალ მოდულში განსაზღვრული იყო ასევე სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხები და შესაბამისად ასე მოხდა გეოგრაფიის მიმართულებაში აღნიშნული პირის ჩართვა, ექსპერტებთან გასაუბრების შედეგად, კოლეჯმა გამოთქვა მზაობა, რომ გეოგრაფიის მიმართულებაში სწავლის დაწყებამდე მოხდებოდა კონკრეტულად გეოგრაფიის კვალიფიკაციით პირის შერჩევა და ამის რესურსი გააჩნდა დაწესებულებას. შესაბამისად, **მიზანშეწონილია** ,,მეცნიერების და ტექნოლოგიების“ მოდულში, გეოგრაფიის მიმართულებით ჩანაცვლდეს პროფესიული მასწავლებელი, ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას კოლეჯმა გამოხატა მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდება ახალი პერსონალის აყვანა გეოგრაფიის მიმართულებით.

2.4.1(6). სასურველია, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები შედუღების სამუშაოების C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში, ზემოაღნიშნულტან დაკავშირებით აღნიბიშნა, რომ აღჭურვილობის შეძენასთან ერთად, სწავლის დაწყებამდე გამოიკვრება დამატებითი უსაფრთხოების წესები.

განვითარების რეკომენდაცია

2.1.1 (2) პროგრამაში განსაზღვრული დაშვების წინაპირობიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი ჩანაწერი - „სტუდენტის სტატუსის მოპოვება“.

2.1.1 (3) „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ (დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანება) დოკუმენტში გაწერილია „კვოტა განისაზღვრება 2 (2 საშემოდგომო, 1 საშემოდგომო და **1 საგაზაფხულო ან 2 საგაზაფხულო მიღების)** ჯგუფით“ . სასურველია აღნიშნულ დოკუმენტში შევიდეს ცვლილება სტუდენტთა მიღებასთან დაკავშირებით (საშემოდგომო მიღება, საგაზაფხულო მიღება).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში/Secondary Vocational Qualification in Welding
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-კოლეჯ „აისის“ დირექტორის 2020 წლის 11 ივნისის № 02-01-121 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო.
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	137
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	167
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლოპროგრამები

2.1საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრატეგიული გეგმა, რომლის თანახმად, პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, დამატებას და დანერგვას. დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევა, რომლის საფუძველზე გამოიკვეთა შედეგების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროება. გარდა ამისა გამოიკვეთა დამსაქმებლებიც, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა რომ ასევე მაღალია აღნიშნული პროფესიით თვითდასაქმების მაჩვენებელი.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის №02-01-121 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში (11.06.2020). პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- სრული ზოგადი განათლება; <u>სტუდენტის სტატუსის მოპოვება.</u>
- საბაზო ზოგადი განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შემთხვევაში; <u>სტუდენტის სტატუსის მოპოვება.</u>
- „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

სასურველია, პროგრამაში განსაზღვრული დაშვების წინაპირობიდან ამოღებულ იქნეს შემდეგი ჩანაწერი - <u>„სტუდენტის სტატუსის მოპოვება“.</u>

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის №02-01-109 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. დოკუმენტის მე-15 მუხლში განსაზღვრულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აღსანიშნავია, რომ კოლეჯს სურს „შედუღების“ პროგრამა განახორციელოს <u>არაინტეგრირებული და ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შესაბამისად.</u>

-პროგრამა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში მოიცავს:

- 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის რაოდენობით.
- 9 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით.
- 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 40 კრედიტის რაოდენობით.

-პროგრამა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში მოიცავს:

- 6 ზოგად მოდულს ჯამური 65 კრედიტის ოდენობით
- 9 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით.
- 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 40 კრედიტის რაოდენობით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.სსიპ - კოლეჯ ,,აისის“ დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანების საფუძველზე შემუშავებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები (მუხლი 1) და კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები (მუხლი 2).

„პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის და პროგრამებზე ჩასარიცხ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთების“ მიხედვით პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენს -30-ს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით კოლეჯმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღო - A სასწავლო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა, ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკური რესურსი, C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში“ არის შემდეგი ჩანაწერი -„9 თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (9-10 თვის ჩათვლით) კვოტა განისაზღვრება 2 (2 საშემოდგომო, 1 საშემოდგომო და **<u>1 საგაზაფხულო ან 2 საგაზაფხულო მიღების)</u>** ჯგუფით, (10-20) პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით“. სასურველია აღნიშნულ დოკუმენტში შევიდეს ცვლილება <u>სტუდენტთა მიღებასთან</u> დაკავშირებით.

პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4.საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო. A და B გარემო უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ნაბეჭდი სახით.
საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5.არჩევითი მოდულები პროგრამას არ გააჩნია.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის №02-01-121 ბრძანებით (11,06.2020). კოლეჯის დირექტორი წარმოადგენს დაწესებულების უფლებამოსილ პირს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №118/ნ 2019 წლის 19 ივნისი).

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7.პროგრამის სახელწოდება „შედუღება“ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან - ,,შედუღება“. **პროგრამის სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - „საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში“ და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8.საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ შეესაბამება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს”, სადაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“. დირექტორის ბრძანება №02-01-121 „სსიპ-კოლეჯში „აისი“ პროგრამის დამტკიცების შესახებ. (11,06.2020).
2. დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”,
3. დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №118/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ ,,აისის“ წესდების დამტკიცების შესახებ“.
5. სასწავლო გეგმა.
6. ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამისს განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამრეკლო. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრა - 30 სტუდენტი. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველ ეტაპზე გამოცხადებას გააკეთებენ ერთ ჯგუფზე (15 ადგილი). <u>მათ სურთ, რომ პირველ ეტაპზე სწავლა განახორციელონ ინტეგრირებული გეგმით.</u>
ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა ინტეგრირებული მოდულებისთვის რესურსების შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. კოლეჯში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. ვიზუალურად დათვალიერებისას შემოწმდა სამივე გარემოში არსებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. A და B გარემოში არსებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. **C გარემოში წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნაწილი. არ არის შეძენილი ძირითადი შესადუღებელი აპარატურა<u>.</u> კოლეჯმა წარმოადგინა დირექტორის 2020 წლის 08 ივნისის ბრძანება №02-01-116 „შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვების შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“, სადაც დანართის სახით წარმოდგენილია აღჭურვილობის დასახელებები (დანართი 2)<u>. სასურველია კოლეჯმა განახორციელოს აღნიშნული ინვენტარის შეძენა სწავლის დაწყებამდე.**</u>
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ნაწილობრივ უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტი. ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ შეიქმნება 2 ჯგუფი და სწავლა განხორციელდება ორ ცვლაში.

2.საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანართის სახით წარმოადგინა ინფორმაცია <u>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის</u> შესახებ. პროგრამას განახორციელებს 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. საერთო პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

და პროფესიული მოდულების სწავლებას ახორციელებს 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა განხორციელდება ერთ ან ორ ცვლაში, საჭიროებიდან გამომდინარე. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.

<u>პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებულია პროგრამის სახელწოდება, მაგრამ არა კონკრეტული მოდულები, ასევე ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესი ბუნდოვანია ,,ზეგანაკვეთური საათების ანაზღაურების წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით". აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია შრომით ხელშეკრულებებში ხელშეკრულების საგანში მიეთითოს მოდულების დასახელება, რომელსაც წაიკითხავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და დაზუსტდეს ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაო შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების პირობების შესახებ.</u>

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.ვიზიტისას, შემოწმებულ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პროფესიული განათლების მასწავლებლებს უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია. ხარისხის მართვის მენეჯერმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირთაგან რამდენიმე ესწრებოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებს. პროფესიული მოდულის ერთ-ერთ განმახორციელებელ პირს არ აქვს სწავლების გამოცდილება, თუმცა ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ აქტიურად მოახდენს მის დატრენინგებას. ინტერვიურებისას პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება და შესაბამისად პროფესიული სტუდენტის შეფასების კომპეტენცია. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ ტრენინგები გაეროს პროგრამის ფარგლებში. ისინი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას როგორც შეფასების ინსტრუმენტების შედგენის საკითხებში, ისე პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებში. აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული მოდულებისათვის პირები შერჩეულნი არიან 2017 წელს, რადგან კოლეჯი ჩართული იყო ინტეგრირებული სწავლების განხორციელებაში, საპილოტე რეჟიმში და აღარ გახდა მათი ხელახლა აყვანის საჭიროება, თუმცა პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ,,მეწარმეობას“ კითხულობს, კვალიფიკაციით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ეკონომისტია. ასევე კითხულობს ,,მეცნიერების და ტექნოლოგიის“ გეოგრაფიის მიმართულებას. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „მეწარმეობის“ ახალ მოდულში განსაზღვრული იყო ასევე სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხები და შესაბამისად ასე მოხდა გეოგრაფიის მიმართულებაში აღნიშნული პირის ჩართვა, ექსპერტებთან გასაუბრების შედეგად, კოლეჯმა გამოთქვა მზაობა, რომ გეოგრაფიის მიმართულებაში მოხდებოდა კონკრეტულად გეოგრაფიის კვალიფიკაციით პირის შერჩევა და ამის რესურსი გააჩნდა დაწესებულებას.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს მეტწილად აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4.პროგრამას ყავს ხელმძღვანელი, რომელიც კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, მტკიცდება პროგრამასთან ერთად (ბრძანება №02-01-111. სსიპ-კოლეჯში „აისი“ პროგრამების დამტკიცების შესახებ (29.05.2020 წ.). ვიზიტისას შემოწმებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. დოკუმენტაციის მიხედვით, მას დაუდასტურდა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის მუშაობს მრავალი წელია მუშაობს სპეციალობის მიხედვით. თუმცა მოდულური მიდგომით სწავლების გამოცდილება მიმდინარე ეტაპზე არ გააჩნია. მან გამოხატა მზაობა ტრენინგებზე დასწრებასთან დაკავშირებით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ აქტიურად ჩაატარებს ტრენინგებს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ყველა საჭირო თემატიკასთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5.პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პსდ-მ წარმოადგინა არსებული სასწავლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებს ცვლილებები არ აქვთ შეტანილი მოდულებში განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან მიმართებაში. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია. ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსი ძირითადად წარმოდგენილია მატერიალური სახით. კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებულია „ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი“ (დირექტორის ბრძანება N176. 17.06.2016 წ) და ბიბლიოთეკის კატალოგი. დოკუმენტში „თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (დირექტორის ბრძანება N 02-01-36. 23.07.2016 წ. ცვლილება დირექტორის ბრძანება N 02-01-132 01.07.2020 წ) განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6.კოლეჯის დირექტორის მოადგილის (სასწავლო - საწარმოო დარგში) სამუშაო აღწერილობებში გაწერილია შემდეგი ვალდებულება - „კოორდინაციას უწევს ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვას“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N02-01-36 ბრძანებით. 23.07.2019წ. ცვლილება ბრძანება N02-01-132. 01.07.2020წ. „სსიპ-კოლეჯის ,,აისი“ თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“).

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც დგაწერილია <u>შემოსავლების ნაწილი</u> და <u>ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში</u> სულ განსაზღვრულია - 59 740 ლარი და <u>ხარჯების ნაწილში</u> - 59 740 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასი (ვაუჩერული დაფინანსება) -40 290 ლარი; ნედლეულისა და მასალის ხარჯებს (ვაუჩერული დაფინანსება) – 2 830 ლარი; ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) – 9 600 ლარი და სხვა ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება). რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.
კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ.პროგრამაფინანსდებავაუჩერულად.
<u>პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“.
2. დირექტორის ბრძანება №02-01-121. (11.06.2020 წ). სსიპ-კოლეჯში „აისი“ პროგრამის დამტკიცების შესახებ.
3. დირექტორის 2019 წლის 21 ოქტომბრის N02-01-119 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
4. დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”.
5. „სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული აღჭურვილობის, მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის, შესყიდვის, შენახვა-გაცემის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N02-01-188 ბრძანების საფუძველზე. (28.11.2019 წ).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
7. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯმა წარმოადგინა შრომის ბაზრის კვლევის 2020 წლის ანგარიში. ანგარიშში განსაზღვრულია კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, <u>კვლევის შედეგები (კერძო სექტორი და დამსაქმებლები), კვლევის შედეგები (ადგილობრივი თვითმმართველობა), კვლევის შედეგები (საზოგადოება).</u> ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა. კვლევის ამოცანებად განსაზღვრულია შემდეგი საკითხები - პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა, მნიშვნელოვანი სპეციალობების განსაზღვრა, კოლეჯთან თანამშრომლობის სურვილის განსაზღვრა კერძო სექტორის მხრიდან, პროფესიულ პროგრამებთნ დაკავშირებული მოლოდინების განსაზღვრა და სხვ. დოკუმენტში მითითებულია, რომ კვლევა განხორციელდა Google Drive-ის საშუალებით ინტერნეტ გამოკითხვით. დოკუმენტიდან ჩანს, რომ კვლევის ჩასატარებლად შემუშავებული იქნა სამი ფორმის კითხვარი: პირველი კითხვარი -გათვალისწინებული იყო სამეწარმეო სუბიექტების (დამსაქმებლების) გამოსაკითხად; მეორე კითხვარი- საზოგადოების სხვადასხვა ასაკისა და ფენის წარმომადგენელთა გამოსაკითხად; მესამე კითხვარი-ადგილობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თვითმმართველობის გამოსაკითხად. კოლეჯის წარმომადგენლებმა ა$ღნიშნეს, რომ ასევე განხორციელდა ინტერვიურება პოტენციურ დამსაქმებლებთან. კერძო სექტორის კვლევებმა აჩვენა, რომ ინჟინერიის მიმართულებაზე დიდი მოთხოვნაა (%). რაც შეეხება საზოგადოების კვლევას, აქ დაფიქსირდა კონკრეტულად შედუღების სპეციალისტების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, კოლეჯ „აისთან“ სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობის სურვილი კერძო სექტორის გამოკითხულთა უმრავლესობამ გამოთქვა.

2.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის შემოწმების თანამიმდევრობის განსაზღვრას, შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის განსაზღვრას, უზრუნველყოფს შესამოწმებელი/შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას და შემუშავებას; პროგრამების გამხორციელების შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამის ან/და პროგრამის დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასუბრება;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესი სორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

1.კოლეჯმა წარმოადგინა სასწავლო გეგმები როგორც არაინტეგრირებული, ისე ინტეგრირებული სწავლის შემთხვევაში.

არაინტეგრირებული გეგმის შემთხვევაში პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს - ქართულენოვანთათვის - 14 თვეს, არაქართულენოვანთათვის - 19.5 თვეს.

ინტეგრირებული გეგმის შემთხვევაში პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს - ქართულენოვანთათვის - 36 თვეს, არაქართულენოვანთათვის - 41.5 თვეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება - 40 საათს.
ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმის და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად შემუშავდება გაკვეთილების განრიგი - ცხრილი. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პსდ-ს გადმოგზავნილ დოკუმენტებში არის სასწავლო გეგმა, რომელიც შემუშავებულია წინაპირობებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. სწავლა ჯერ არ მიმდინარეობს აღნიშნულ პროგრამაზე მოდულური მიდგომით. **თუმცა, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლა წარიმართება სასწავლო გეგმის მიხედვით.**

3.სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია კომპიუტერით, პროექტორით და ყველა საჭირო რესურსით. ეს ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებით სწავლებას. ინტერვიურებისას პროგრამის განმახორციელენელმა პირებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის მიერ ტარდება ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი შეიძენს თანამედროვე შესადუღებელი აპარატურების კომპლექტს, რომლის საშუალებითაც განხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვა.
სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5.პსდ-ს პროგრამის ფარგლებში არცერთი მოდული არ აქვს გარეთ გატანილი, შესაბამისად არ აქვთ ხელშეკრულება/მემორანდუმი პსდ-ს გარეთ არსებულ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული. ყველა პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება კოლეჯის C გარემოში.

6.კოლეჯს ყავს უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირი-სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულება სწავლების განხორციელებას უზრუნველყოფს უსაფრთხოების ნორმების დაცვით. კოლეჯს შემუშავებული აქვს, უსაფრთხოების წესები“. (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N02-01-190 ბრძანების საფუძველზე. (28.11.2019 წ). აღნიშნულ დოკუმენტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

გაწერილია - უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები (მუხლი 2), ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა (მუხლი 3), სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა (მუხლი 4). უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები (მუხლი 5). ამავე დოკუმენტში განსაზღვრულია კოლეჯის მედდის ძირითადი ფუნქციები. კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნეს დამატებით უსაფრთხოების წესები შედუღების სამუშაოების C გარემოსთვის და გამოკრულ იქნეს უშუალოდ აღნიშნულ გარემოში. ასევე, აღსანიშნავია, რომ ცეცხლმაქრები, რომლებიც განთავსებულია C გარემოში, განკუთვნილია B (სითხეები) და C (აირი) ტიპის ნივთიერებების წვისთვის. შედუღების სამუშაოების წარმოებისას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს მუშაობა მოუწევთ ელექტროენერგიის გამოყენებით. აქედან გამომდინარე, კოლეჯს გაეწია რეკომენდაცია ისეთი ცეცხლმაქრის შეძენასთან დაკავშირებით, რომელიც განკუთვნილია ელექტროდანადგარების და ელექტრო ხელსაწყოების წვის შემთხვევაში. ცეცხლმაქრზე უნდა იყოს დატანილი შემდეგი ნიშანი - E.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. უსაფრთხოების წესები“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N02-01-190 ბრძანების საფუძველზე. (28.11.2019 წ).
2. პროგრამის სასწავლო გეგმები.
3. საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“. (დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N 02-01- 111 ბრძანებით).
4. დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N02-01-109 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”.
5. ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
6. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ხდება სასწავლო პროცესის მართვა.აღნიშნული წესის მერვე თავი -პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასება - მოიცავს დეტალურ ინფორმაციას შეფასების, გასაჩივრების, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის,კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულებას შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული აქვს შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანება).

მეთოდოლოგიის შესაბამისად კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელშიც შეიძლება შევიდეს:

ა) კოლეჯის დირექტორის მოადგილე ან/და კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი;

ბ) პროგრამის ხელმძღვანელი ან/და წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებელი;

გ) სასწავლო დარგის მენეჯერები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მეთოდოლოგიის შესაბამისად შიდა ვერიფიკაციის ჯგუფმა უნდა განახორციელოს შემდეგი ამოცანები:

ა) შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა და მოდულის განმახორციელებელი პირების აქტივობების კოორდინირება;

ბ) მონიტორინგის პროცესის კითხვარების შეგროვება და ანალიზი;

გ) მოხსენების მომზადება.

დაწესებულები მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას (ხარისხის მართვის მექანიზმები და შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის მეთოდოლოგია) და დაწესებულების წარმომადგნლებთან გასაუბრებით ქსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს ხარისხის მართვის მენეჯერი,რომელიც შესაძლებელია ასევე შედიოდეს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფში. პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შეფასების ინსტრუმენტების გადაგზავნა შესათანხმებლად მასწავლებლების მიერ ხდება ხარისხის მართვის მენეჯერთან. არსებულ სიტუაციაში ხარისხის მართვის მენეჯერი ვერ იქნება ობიექტური შემფასებელი, რაც შეუსაბამობაში მოდის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასთან, როდესაც დაწესებულებამ თვითონვე უნდა იპოვოს საკუთარი შეუსაბამობები.

<u>რეკომენდირებულია ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავდეს, ანუ ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობს.</u>

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა/ინახება დაწესებულებაში,მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 30); აღნიშნული პროდუქტი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის" შესაბამისად. დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის,შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემდგომი განვითარებისათვის.სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“. დირექტორის ბრძანება №02-01-121 „სსიპ-კოლეჯში „აისი“ პროგრამის დამტკიცების შესახებ. (11,06.2020).
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 27 მაისის N 02-01-109 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ცვლილება დამტკიცებული 2020 წლის 1 ივლისის N 02-01-133 ბრძანებით);
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
4. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-185 ბრძანებით დამტკიცებული, ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N02-01-112 ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
5. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. დირექტორის 2020 წლის 08 ივნისის ბრძანება №02-01-116 „შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვების შესაბამისობის გეგმის დამტკიცების შესახებ“.

ქ. თბილისი 23.07.2020
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: